



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი  
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**„ეროვნულ და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა  
ცნობა-აღსრულების თავისებურებანი საქართველოში“**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ვლადიმერ სოხაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნინო ბოჭორიშვილი

თბილისი

2021

## შინაარსი

შინაარსი .....	2
ანოტაცია .....	3
Annotation.....	4
შესავალი.....	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა .....	7
თავი II. არბიტრაჟის ისტორია .....	9
თავი III. ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თავისებურებანი .....	13
3.1 უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების თავისებურება .....	13
3.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების თავისებურება .....	19
თავი IV. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თავისებურებანი	31
4.1. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების სამართლებრივი მნიშვნელობა .....	31
4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა .....	34
თავი V. კვლევის შედეგები.....	43
დასკვნა .....	45
გამოყენებული ლიტერატურა.....	48

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ეროვნული და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თავისებურებებს საქართველოში.

ნაშრომში განხილულია, არბიტრაჟის განვითარების ისტორია საქართველოში, ასევე ქართული და უცხოური არბიტრაჟების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისას, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, მისი მართებულობა, როგორც ფორმალური ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით, საქართველოს კანონთან „არბიტრაჟის შესახებ“ და ნიუ-იორკის 1958 წლის „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ კონვენციასთან.

კვლევის შედეგად გამოკვეთილ იქნა ეროვნული და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების პროცესში არსებული პრობლემატიკა და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის გზები.

## **Annotation**

The given scientific work is dedicated to the national and international decisions' notice-enforcements' peculiarities.

In the given scientific work there is analysed the development history of arbitration in Georgia, also, the practise of the decisions of the notice-enforcement of a leg appeal and cassation fields in Georgia and foreign countries in terms of formal and essential angles towards The Law of Arbitrage of Georgia and the convention of the foreign arbitration decisions of notice-enforcement convention made in 1958 in New York.

The research has revealed the problematic tasks of the arbitration decisions on the scale of national and international levels and there are shown ways of solution.

## შესავალი

საქართველოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პროცესში დამკვიდრებულია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რაც წარმოადგენს დღევანდელი სამართალწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადე მომეხდინა არბიტრაჟზე ლიტერატურის, ნაშრომების, სტატისტიკური მონაცემების და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი, წარმომედგინა პრობლემატიკა, თუ რატომ არ შეესაბამება იგი რიგ შემთხვევებში, საკანონმდებლო და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ დანაწესებს და დასკვნის სახით ასევე წარმოვადგინე ჩემი ხედვა თუ როგორ არის შესაძლებელი არსებული გამოწვევების გადაჭრა.

### თემის აქტუალობა:

21-ე საუკუნის დაემოკრეტიული სახელმწიფოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, ეფექტურ სამართალწარმოებას, უმნიშვნელოვანესი როლი უკავია, იგი გარანტია პირველ რიგში მეწარმე სუბიექტებისა და ინვესტორებისათვის, რათა მათ საკუთარი სამართლებრივი ინტერესები ეფექტურად დაიკმაყოფილონ.

თანამედროვე მსოფლიო რეალობაში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელშეკრულებო ურთიერთობები მზარდ ხასიათს ატარებს. შეიძლება ითქვას გეომეტრიული პროგრესიით იზრდება მეწარმე სუბიექტების რაოდენობა და ამ ფონზე სახელშეკრულებო ურთიერთობების სიმრავლე, ხშირად ბადებს სამართლებრივი დავების წინაპირობებს, რაც თავის მხრივ დავის ფაქტობრივი გარემოებების, ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მხრიდან, განსხვავებული შეფასებებით არის განპირობებული.

იქმნება აუცილებლობა დავების მოგვარების, არა ეროვნული სასამართლოების მიერ, არამედ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კვალიფიციური და ეფექტური სხვა ინსტიტუტების მიერ, რადგან ეროვნული სასამართლოები ხსენებულ რეალობაში, ზედმეტად ბიუროკრატიული, ფორმალური და რაც მთავარია გადატვირთულია, ეს კი თავის მხრივ სამართალწარმოებას დროში გაწელილ პროცესად აქცევს და საკმაოდ ძვირ „სიამოვნებასაც“ წარმოადგენს, შესაბამისად არაეფექტურია დავის მონაწილეთათვის.

ამ თვალსაზრისით, დავების მოგვარების ისეთ საშუალებას, როგორც არბიტრაჟია, ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან საარბიტრაჟო დავის განმხილველი ტრიბუნალის

შესაძლებლობა, დაკომპლექტებულ იქნას დავის სპეციფიკის გათვალისწინებით კომპეტენტური არბიტრების შემადგენლობით, განიხილოს დავა სასურველ ენაზე და ადგილას, მოკლე დროსა და მინიმალური ფორმალობებით და სხვა, ამ ინსტიტუტს მრავალი პრაქტიკოსის, ისევე როგორც ჩემი აზრით, აქცევს დავების მოგვარების სასამართლოს ალტერნატიულ საუკეთესო საშუალებად.

ამასთან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ისეთ დემოკრატიულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ რეალობაში, როგორც საქართველოშია, არსებობდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობის და აღსრულების განმახორციელებელი საზედამხედველო ორგანო, რომელიც დაიცავს მხარეთა სამართლებრივ ფუნდამენტურ უფლებებს და დაამკვიდრებს ცნობა-აღსრულების ერთიან სტანდარტებს.

### **კვლევის მიზანი:**

წარმოდგენილი სასამართლო პრაქტიკის და ნორმატიული აქტების ურთიერთდაპირისპირება, დადგენა თუ რამდენად სწორ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სააპელაციო და საკასაციო სასამართლო, როგორც ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთიანი სწორი სამართლებრივი სტანდარტის დადგენა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების პროცესში.

რა პრაქტიკული მიზანი გააჩნია სასამართლოს მიერ სწორი სამართლებრივი სტანდარტის დადგენას, როგორც სამართლებრივი განვითარების, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

### **კვლევის ამოცანა:**

განალიზებულ იქნეს ქართული მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკის პრობლემური საკითხები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პროცესში.

გამოკვეთოს სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის პრობლემატიკა, განიხილოს ისინი და გამოიტანოს შემაჯამებელი დასკვნა.

### **კვლევის მეთოდები:**

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისტორიული მეთოდი, შედარებით - სამართლებრივი მეთოდი, სამართლებრივი ანალიზის მეთოდი. თემაზე მუშაობისას, ასევე გავეცანი მრავალ სასამართლო გადაწყვეტილებას, მოვიკვლიე საქართველოს საარბიტრაჟო ინსტიტუტების პრაქტიკა და ვაწარმოე მცირედი სტატისტიკური კვლევა, გავეცანი თეორიულ მასალას, კერძოდ სამეცნიერო და ნორმატიულ ლიტერატურას, რომელიც დამეხმარა, რომ გამეკეთებინა საკუთარი დასკვნები და ისე დამეწერა წინამდებარე ნაშრომი.

თემაზე მუშაობისას ძალზედ დამეხმარა ინტერნეტ-რესურსებიც, რომლებიც მითითებულია სქოლიოშიც და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პროცესში არსებულ პრობლემატიკას. ასეთები იყო: გ. ცერცვაძის „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი)“, ამავე ავტორის „საერთაშორისო არბიტრაჟი“ და „საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი)“; ზემოთ ჩამოთვლილ ლიტერატურაში ნათლად არის ნაჩვენები არბიტრაჟის განვითარების ისტორია, მისი აქტუალურობის საკითხი და საერთაშორისო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ქართულ კანონმდებლობასთან. ასევე თამაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, რომელიც შედარებით-სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობასა და საერთაშორის კანონმდებლობას შორის და მრავალმხრივ გვაჩვენებს საკითხის მთავარ მახასიათებლებს. ლ. გოთუა „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“ და „მართლმსაჯულება“ ამ ნაშრომებმა საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის კუთხით საკითხის განსახილველად შემიქმნა მეტად მკაფიო პოზიცია; ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში და მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, ეს ორი ნაშრომი საარბიტრაჟო უზრუნველყოფის სპეციფიკის კუთხით იყო საინტერესო; თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები; Gary Born. International commercial arbitration; ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, რომელიც განიხილავს უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობა აღსრულების პროცესში სამართლებრივი აქტების გამოყენების პრობლემას. ელიზბარაშვილი თ. სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოებაში ქართული კანონმდებლობის თანახმად, ეს ნაშრომი დამეხმარა მეტად თეორიულად დასაბუთებულად წარმომედგინა თემის მთავარი პრობლემები;

შემდეგი ნაშრომები: „გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის“, „ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისათვის“, „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“ გახლავთ ჩემი შეფასებით საუკეთესო კვლევები დღევანდელ დღეს საარბიტრაჟო სამართლის, როგორც სწორად აღსაქმელად, ასევე მისი სწორი გამოყენებისა და შემდგომი განვითარებისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ თემაზე მუშაობის დაწყებამდე, ეს ლიტერატურა დამეხმარა ფუნდამენტალურად გავრკვეულიყავი არბიტრაჟის ბუნებაში და მის სამართლებრივ რეგულაციებში, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ; საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები და სხვა, ასევე, დახმარება გამიწია ინტერნეტით მოძიებულმა მასალებმა და სტატიებმა.



## თავი II. არბიტრაჟის ისტორია

არსებობს მოსაზრება, რომ არბიტრაჟი სასამართლოს პირველსახეა. არბიტრაჟის ისტორია ლიტერატურაში ნაკლებ გამოკვლევულად ითვლება, თუმცა აღიარებულია, რომ მისი წარმოშობა წინ უსწრებდა სასამართლოს.<sup>1</sup>

დავის გადაწყვეტის მეტნაკლებად მსგავსი ფორმები ადრეული პერიოდიდან იყო ცნობილი. ათენელი პოლიტიკური მოღვაწის, თემისტოკლეს ბიოგრაფიაში უაღრესად საინტერესო ცნობაა დაცული. ათენელებისაგან დევნილი თემისტოკლე კუნძულ კურკირაზე გაიქცა, რადგან მან იქ მაცხოვრებლებს თავის დროზე საკმაოდ დიდი სამსახური გაუწია - გაჰყვა არბიტრად კორინთელთა წინააღმდეგ დავაში და ამ უკანასკნელთ 20 ტალანტის გადახდა დააკისრა. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ანტიკურ ხანაშიც საკმაოდ პოპულარული ყოფილა, ზოგიერთი მოსაზრებით, პირთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტის მიზნით, ტექნიკურად მსგავსი ფორმის გამოყენება წინ უსწრებდა თვით სახელმწიფოს წარმოშობას.<sup>2</sup>

საქართველოში საარბიტრაჟო სასამართლო სახელმწიფოს მიერ დაარსდა და ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან არსებობდა. საბჭოთა არბიტრაჟი ძირითადად განიხილავდა სახელმწიფო საწარმოებს შორის დავებს, აღნიშნულთან დაკავშირებით 1931 წლის 3 მაისს მიღებულ იქნა დებულება, რომელმაც განსაზღვრა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი დაფუძნებულია სოციალური სექტორის ინსტიტუტებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს შორის ქონების დავების გადაწყვეტისათვის, უზრუნველყოფს სახელშეკრულებო დისციპლინისა და ეკონომიკური გაანგარიშების გაძლიერებას.<sup>3</sup>

1960 წლებიდან საბჭოთა არბიტრაჟმა საკავშირო მასშტაბი მიიღო და 1977 წლის საჭოთა კონსტიტუციით ის კონსტიტუციის დონეზე აღიარებულ ინსტიტუტად იქცა.<sup>4</sup>

ღრმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმა და საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების შედეგად, აუცილებელი გახდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა და შემდგომი ძირეული ცვლილებების ტალღა 1991 წლის 17 მაისს განხორციელდა. 1991 წელს მიღებულ იქნა სსრკ უზენაეს

<sup>1</sup> ცერცვაძე, გ. (2008). საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი). თბილისი: გამომცემლობა "უნივერსიტეტი". გვ.14

<sup>2</sup> ცერცვაძე, გ. (2008). საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი). თბილისი, გამომცემლობა: "უნივერსიტეტი". გვ.14

<sup>3</sup> ამიერკავკასიის ცენტრალური საბჭოს (1931 წელი 15 ივნისი). დადგენილება #141 . თბილისი: კანონთა და განკარგულებათა კრებული. ელ.წყარო:[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/298287/1/Amierkavkasiis\\_Kanonta\\_Da\\_Gankargulebata\\_Krebuli\\_1931\\_N11.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/298287/1/Amierkavkasiis_Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1931_N11.pdf)

<sup>4</sup>[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319235/1/Sabchota\\_Socialisturi\\_Respublikebis\\_Kavshiris\\_Konstitucia\\_1977.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319235/1/Sabchota_Socialisturi_Respublikebis_Kavshiris_Konstitucia_1977.pdf). გვ.48 - (1977 წელი). სსრკ კონსტიტუცია . მუხლი 162 .

საარბიტრაჟო სასამართლოსა და სსრკ უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ეკონომიკური დავების გადაწყვეტის პროცედურის შესახებ კანონები თუმცა, ვინაიდან 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, დამოუკიდებელი საქართველო აღმოჩნდა რეალობის წინაშე, რომელშიც ხელჩასაჭიდი გამოცდილების გარეშე მოუწია დაერეგულირებინა საარბიტრაჟო კანონმდებლობა.

1997 წელს საქართველოში შეიქმნა კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ<sup>5</sup>, რომლის პირველი მუხლის მიხედვით, ნებისმიერი სამოქალაქო დავა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით გადასცემოდა არბიტრაჟს, იგი თავად ადგენდა გადაწყვეტილების აღსრულების წესს და ვადას, საჭიროებდა მხოლოდ ნოტარიალურ დამოწმებას, არ იცნობდა ცნობა-აღსრულების მექანიზმს საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობდა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით რატიფიცირებული<sup>6</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, რომელიც მართალია არ ავალდებულებდა ეროვნულ არბიტრაჟებს ცნობა-აღსრულების მექანიზმის შემოღებას, მაგრამ ამ დოკუმენტზე მიერთებით საქართველოს პარლამენტს გააჩნდა ქმედითი და ქართულ რეალობას მეტად მორგებული სამართლებრივი დამაბალანსებელი მექანიზმი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციუმის განვითარების არც-ერთი ასპექტი არ აღმოჩნდა თანხვედრაში არბიტრაჟის ამ მოდელთან და ასეთმა კარტ-ბლანშმა დამღუპველად იმოქმედა თავად საარბიტრაჟო ინსტიტუტების რეპუტაციაზე.

2009 წლის კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც დიდწილად UNCITRAL-ის<sup>7</sup> (გაეროს სამოდელო კანონი იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ გააჩნდათ დახვეწილი საარბიტრაჟო კანონმდებლობა) მოდელო კანონს ეფუძნებოდა, ახალი სული შთაბერა და ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა საარბიტრაჟო ინსტიტუტებისათვის.

ახალი კანონი საფუძვლიანად იქნა დამუშავებული ქართველი სამართალმცოდნეების მიერ, გაანალიზებულ იქნა შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებითაც და დამსახურებული კრიტიკის ქარცეცხლშიც იქნა მოქცეული.<sup>8</sup>

<sup>5</sup> კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. თბილისი, პარლამენტის უწყებანი, 17-18, 05/05/1997. პარლამენტი, ს. (17/04/1997).

<sup>6</sup> გაერო. (1958 წელი). უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონვენცია. ნიუ-იორკი, ელ.წყარო: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi13.pdf> .

<sup>7</sup> გაერო, ელ.წყარო: <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/06-54671ebook.pdf>.

<sup>8</sup> გოთუა, ლ. (2010). „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“. თბილისი, გამომცემლობა : უნივერსიტეტი. გვ.75

შემდგომ პერიოდებში განხორციელებულ იქნა 8 საკანონმდებლო ცვლილება 2009 წელს მიღებულ კანონში, რომელთაგანაც ზოგიერთმა ცვლილებამ მცირე ხანს იარსება<sup>9</sup> და შემდგომი ცვლილებებით იქნა ამოღებული<sup>10</sup>, ზოგიერთი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა განპირობებული<sup>11</sup>, თუმცა ჩემი აზრით ცალკე აღნიშვნის ღირსია 2015 წლის 15 მარტის ცვლილებით ჩამოყალიბებული მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის სიტყვები - „თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ“<sup>12</sup>, აღნიშნულ საკითხს სააპელაციო სასამართლოების მიერ ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების განხილვისას დავუბრუნდებილ დეტალურად. 27/10/2015-ის, 21/12/2016-ის და 18/09/2019 წლების ცვლილებებით, გარკვეული ფორმალური და პროცედურული საკითხები დაზუსტდა, ხოლო კიდევ ერთი აღსანიშნავი ცვლილებები არბიტრაჟის კომპეტენციის გაზრდის საკითხებს შეეხო და გაიზარდა არბიტრაჟის კომპეტენცია, კერძოდ გარდა „პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავებისა“ არბიტრაჟის განსჯადობას დაექვემდებარა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელშეკრულებო დავებიც<sup>13</sup>.

არბიტრაჟის ისტორიის მიმოხივის ნაწილში, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რეალობას მორგებული ფორმალური და პროცესუალური სათანადო კანონმდებლობა, საქართველოს 10 წელზე ნაკლები პერიოდია რაც გააჩნია და როგორც შემდგომ თავებში განხილული პრობლემატიკა გვაჩვენებს ნათლად, ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი საარბიტრაჟო სამართალწარმოებას ცნობა აღსრულების ნაწილში ერთიანი სათანადო პრაქტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით და ერთიანი სამოსამართლო სტანდარტების დასამკვიდრებლად,

<sup>9</sup> პარლამენტი. (15/12/2010 ). საქართველოს კანონი, დოკ.# 4046-რს. თბილისი : ელ.წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1160560?publication=0>

<sup>10</sup> პარლამენტი. (18/03/2015 ). „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დოკ.#: 3218-III . თბილისი: ელ.წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2780039?publication=0>

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4/532,533 . (2014 წლის 8 ოქტომბერი ). ქ.ბათუმი : ელ.წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2549051?publication=0> და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დოკ.#: 3360-III. თბილისი, პარლამენტი. (20/03/2015 ). ელ.წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2787242?publication=0>

<sup>12</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დოკ.#: 3218-III. თბილისი, პარლამენტი. (18/03/2015 ). ელ.წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2780039?publication=0>

<sup>13</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დოკ.#: 2276-III. თბილისი, პარლამენტი. (01/07/2018). ელ.წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4188980?publication=0>

თუმცა აღსანიშნავია, რომ თავად ქართულმა კანონმდებლობამ სწრაფი პროგრესი განიცადა ისტორიისათვის მოკლე პერიოდში.

## თავი III. ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თავისებურებანი

### 3.1 უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების თავისებურება

საარბიტრაჟო შეთანხმების დადება და დავის არბიტრაჟისთვის გადაცემა სულაც არ ნიშნავს, რომ დავის მონაწილე მხარე კეთილსინდისიერად მოიქცევა. პირიქით, საარბიტრაჟო წარმოების დაწყებისთანავე არსებობს რეალური საფრთხე - საარბიტრაჟო მოპასუხემ, რომლისათვისაც იმთავითვე ცნობილია, რომ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოტანილი, შესაძლებელია, არაკეთილსინდისიერი გზებით ხელი შეუშალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას.<sup>14</sup> ის შეეცდება გააჭიანუროს პროცესი, ხელი შეუშალოს მეორე მხარეს მტკიცებულების მოპოვებაში და ა.შ. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე საჭიროებს გარკვეულ დახმარებას არბიტრაჟისგან, რათა იგი გაუმკლავდეს მეორე მხარის მიერ შექმნილ წინააღმდეგობებს.<sup>15</sup>

საარბიტრაჟო წარმოების დროს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგიერთ სიტუაციაში მტკიცებულება შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს, თუ ის სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი მესამე მხარის მიერ, ან შესაძლოა ერთ მხარეს დასჭირდეს, რომ მეორე მხარემ შეწყვიტოს გარკვეული ქმედებების განხორციელება დაუყოვნებლივ. ასევე შესაძლოა აქტივებს სჭირდებოდეს დაცვა.<sup>16</sup>

საარბიტრაჟო პროცესში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ისევე აქტუალურია, როგორც საერთო სასამართლოთა სისტემაში საქმის განხილვის დროს. კანონის მოცემული მუხლი განსაზღვრავს, რომ შუამდგომლობა არბიტრაჟს შეიძლება წარედგინოს საარბიტრაჟო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდეც კი. ასეთი ღონისძიების მიზანია გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება.<sup>17</sup>

კანონმა ამომწურავად განსაზღვრა არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ფარგლები და კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში

<sup>14</sup> Born, G., International commercial arbitration, vol 2, 2009, 1943

<sup>15</sup> ჩომახიძე, ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 79-80

<sup>16</sup> ფიცხელაური, ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 194

<sup>17</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 77

მიუთითა იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს არბიტრაჟმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის განხილვისას.<sup>18</sup>

კანონი განსაზღვრავს იმ სავალდებულო მოთხოვნებს, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს საარბიტრაჟო სარჩელის, მათ შორის მომავალში აღსაძრავი სარჩელის, კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” - “გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტა. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობა შეიძლება იყოს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელდება მისი აღსრულება.<sup>19</sup>

შუამდგომლობის ავტორმა უნდა დაასაბუთოს, რომ: ა. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით; ბ. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში; გ. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღსანიშნავია, რომ კანონის ასეთი ფორმულირება იმდაგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით დაამტკიცოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. შუამდგომლობის წარდგენის სტადიაზე საკმარისად უნდა ჩაითვალოს ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნა.<sup>20</sup>

კანონმა პირდაპირ არ მიუთითა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებებზე, რომელთა ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა არ დაიშვება და გაითვალისწინა, რომ არბიტრაჟი თავადაა უფლებამოსილი დაადგინოს ასეთი ღონისძიებების აღსრულების განსხვავებული წესი. ასეთი საკითხი შემთხვევით არ არის გათვალისწინებული, რადგანაც განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისა, UNCITRAL-ის მოდელური კანონი, ისევე როგორც უცხოური საარბიტრაჟო დაწესებულებების დებულებები

<sup>18</sup> იქვე, გვ. 77

<sup>19</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 79

<sup>20</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 79-80

ითვალისწინებს წინასწარი ბრძანების გაცემის შესაძლებლობას, რომლითაც მეორე მხარეს დაეკისრება ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მოთხოვნილი დროებითი ღონისძიებების მიზნის განხორციელებას (UNCITRAL-ის მოდელური კანონის მუხლი 17 “ბ”. იმავე კანონის მე-17 “გ” მუხლის თანახმად, წინასწარ ბრძანებას სავალდებულო ძალა აქვს მხარეებისათვის, მაგრამ ის არ ექვემდებარება აღსრულებას სასამართლოს მიერ). ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონი მართალია არ ითვალისწინებს “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გარდა უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ საერთაშორისო ნორმებზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით, არ კრძალავს უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც, ამ ეტაპზე კანონით არ არის გათვალისწინებული.<sup>21</sup>

გამომდინარე არბიტრაჟის შესახებ კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან, არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სასამართლოსათვის მიმართვის ფორმით არის გათვალისწინებული და არანაირ განმარტებას არ იძლევა კანონი იმ საკითხთან მიმართებით თუ როდის დგას რეალობა როცა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვას არ საჭიროებს და არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს მათი აღსრულების განსხვავებული წესი.

თეორიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი დაკავშირებულია საარბიტრაჟო შეთანხმებასთან და, ამდენად, ის განსხვავებული ღონისძიებები, რომლებიც არ ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან ცნობა აღსრულებას, შესაძლოა გათვალისწინებული იყოს უშუალოდ საარბიტრაჟო შეთანხმებაში, თუმცა ჩემი აზრით კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, რომ საარბიტრაჟო უზრუნველყოფის გამოყენება შესაძლებელია საარბიტრაჟო სამართალწარმოებისას, თუ მხარეებმა ეს შეზრუდვა არ დაუწესეს ერთმანეთს საარბიტრაჟო დათქმით.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს მიერ ეფექტიანი ბერკეტია ნებისმიერი საარბიტრაჟო განხილვისას.<sup>22</sup> კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების

<sup>21</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 86-87

<sup>22</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის. 2018 წ. გვ. 42

მოთხოვნით, მხარეს შეუძლია მიმართოს უშუალოდ სასამართლოს. სასამართლოსათვის უზრუნველყოფის ზომების მიღების მოთხოვნით მიმართვა არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას და არ გულისხმობს, რომ დავა არსებითადაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.<sup>23</sup>

არბიტრაჟის შესახებ კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად<sup>24</sup>, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოში მოქმედი არბიტრაჟები აღიარებენ უზრუნველყოფის იმ სახეებს, რაც კანონითაა გათვალისწინებული. ამასთან ერთად, არსებობს გამონაკლისებიც, რომლებიც არბიტრაჟს ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს ის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.<sup>25</sup> ნებისმიერი საარბიტრაჟო რეგლამენტი, რომელიც ახდენს სახეების ჩამოთვლას ან ზოგად კლასიფიკაციას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, შეიცავს დათქმას, რომ არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს ის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებული არ არის, თუმცა, ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზნის მისაღწევად გამოსადეგად მიიჩნევა.<sup>26</sup>

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონით გაუთვალისწინებელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება რისკის მატარებელია და შესაძლებელია მისი ცნობისა და არსრულების ეტაპზე სასამართლოს მიერ მხარეს ეთქვას უარი.

არბიტრაჟის მეშვეობით დავების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, თავიანთი შეხედულებისამებრ, თავიანთივე წესების მეშვეობითა და საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, გვერდი აუარონ დამკვიდრებულ სტანდარტულ საპროცესო სისტემას.<sup>27</sup> მას გააჩნია უფლებამოსილება, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა განიხილოს ყოველგვარი სახელმწიფო ინსტიტუტისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ ზედმეტი ჩარევის საშიშროება უარყოფით როლს ითამაშებდა კერძო დავების

<sup>23</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 562

<sup>24</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, 19/06/2009, დოკუმენტის ნომერი 1280. მუხლი 23. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=8>

<sup>25</sup> მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული, 2016 წ., გვ 94

<sup>26</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 82

<sup>27</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 560



ალტერნატიული წესით განხილვაზე, იზარალებდა არბიტრაჟის ეფექტურობა და მისდამი ნდობის ფაქტორი.<sup>28</sup> თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სასამართლომ შესაძლოა განახორციელოს სხვადასხვა ფუნქციები საარბიტრაჟო წარმოების დროს. ის შესაძლოა იყოს კონტროლის მექანიზმი და ასევე შეითავსოს დახმარების ფუნქცია,<sup>29</sup> შესაბამისად, სასამართლომ შესაძლოა გამოიყენოს მაკონტროლებელი ფუნქცია უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დანავშირებით, რომელიც მეტად ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს საარბიტრაჟო პროცესის დასრულებამდე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებისთვის.

სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ცნობისა და აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, არ შეუძლია ფაქტობრივი გარემოებების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანშეწონილობის განხილვა და შეფასება,<sup>30</sup> თუმცა მას აქვს ვალდებულება შეამოწმოს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ კი თანმიმდევრულად აღვწეროთ, როგორ ხდება რეალურად სააპელაციო სასამართლოში ცნობა და აღსრულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების.

ცნობა და აღსრულება, კანონით გათვალისწინებული წესით რომ განხორციელდეს, რეალურად მოწინააღმდეგე მხარეს უნდა გაეგზავნოს საქმისწარმოების მასალები, სასამართლომ უნდა კითხოს ჩაბარდა თუ არა მას არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, უნდა განუსაზღვროს მას დრო საკუთარი პოზიციის წარმოსადგენად და ამ პროცესების გავლის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება, სინამდვილეში კი ეს პროცესი 1 დღეში საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით და მსგავსად ხდება<sup>31</sup>, ძნელია მას უწოდო ცნობა და აღსრულება, ის უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს. ერთადერთი რასაც სასამართლო აკეთებს ხოლმე, იმის გათვალისწინებით რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უძრავი ქონების ყადაღას ითხოვს მეტწილად საარბიტრაჟო მოსარჩელე, არის მოთხოვნილი ყადაღის ნაცვლად, მის ჩანაცვლებას გასხვისების აკრძალვით.<sup>32</sup>

---

<sup>28</sup> გოთუა ლ., მართლმსაჯულება, N 2, 2007 წ., გვ 143

<sup>29</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 168

<sup>30</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., გვ.55

<sup>31</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე # 28 ბ/ 5926- - 16. 11 ნოემბერი, 2016 წელი

<sup>32</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე # 28 ბ/ 5926- - 16. 11 ნოემბერი, 2016 წელი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>33</sup> მუხლის თანახმად, არბიტრაჟის მიერ მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას გააჩნია სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს, თუ სახეზე არ გვაქვს არბიტრაჟის შესახებ კანონის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც მარტივად რომ ვთქვათ გულისხმობს სათანადო შეთანხმებას/დათქმას არბიტრაჟზე და მისი დედნის წარდგენას სასამართლოსათვის და ასევე თავად არბიტრაჟის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების დედნის წარდგენას, ამ დროს სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა მოსთხოვოს მხარეს, რაც როგორც წესი არ ხდება და ბოლოს სასამართლო გადაწყვეტილებას 10 დღის ვადაში იღებს.

საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში, ყოველ შემთხვევაში საქართველოში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, იშვიათია რთული სამართლებრივი შემთხვევები საარბიტრაჟო სამართალწარმოებისას, როგორც წესი არსებობს გარკვეული ფინანსური ვალდებულება გამოდინარე საკრედიტო ურთიერთობებიდან ან მოხდა გარკვეული საქონლის მოწოდება შემდგომი ანაზღაურების პირობით და არ მომხდარა ანაზღაურება. ასეთ დროს მოსარჩელის რეალური ინტერესია დროულად მოახდინოს მოძიებული აქტივის გაყინვა და შეზღუდოს მოწინააღმდეგე მხარე, რათა მან არაკეთილსინდისიერი გზით არ ისურვოს თავის არიდება ვალდებულებისაგან. ამ მოცემულობაში კი კანონით გათვალისწინებული ვადები და პროცედურები არაქმედითია, ასევე ხარჯიანი რადგან მხარე იხდის საარბიტრაჟო მოსაკრებელს და ამის შემდგომ ცნობა აღსრულების მოსაკრებელს სასამართლოში. სწორედ ამიტომ საარბიტრაჟო მოსარჩელე პირდაპირ სასამართლოს მიმართავს ხოლმე და 356<sup>34</sup> მუხლით გათვალისწინებული წესებით 1 დღეში იღებს განჩინებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე რათა იაფად და ეფექტურად შეძლოს საკუთარი ინტერესების განხორციელება.

---

<sup>33</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, მღების თარიღი 14/11/1997, დოკუმენტის ნომერი 1106. <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=145>

<sup>34</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, მღების თარიღი 14/11/1997, დოკუმენტის ნომერი 1106. <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=145>

### 3.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების თავისებურება

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით რატიფიცირებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია “უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია). შესაბამისად, ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოსათვის. საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 ივნისს მიღებული, “არბიტრაჟის შესახებ” კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი სრულად ასახავს მითითებული კონვენციის პირველი მუხლის დებულებას, რომ “კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, და გამოტანილია ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს ადგილობრივ გადაწყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება”. ამდენად, მოცემული კანონი ითვალისწინებს რა როგორც საქართველოში გამოტანილ, ასევე უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სავალდებულო წესით აღსრულებას, ადგენს დიფერენცირებულ განსჯადობას – საქართველოში გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ უფლებამოსილ სასამართლოდ მიიჩნევა სააპელაციო სასამართლოს, ხოლო უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ – საქართველოს უზენაეს სასამართლოს.<sup>35</sup>

აღსანიშნავია, რომ მითითებული კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, “ტერმინი “საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები” მოიცავს არა მხოლოდ ყოველ ცალკეულ საქმესთან დაკავშირებით დანიშნული არბიტრების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, არამედ იმ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც, რომლებსაც მხარეებმა მიმართეს”. ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება როგორც მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, ასევე ad hoc არბიტრაჟის გადაწყვეტილება.<sup>36</sup>

<sup>35</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 150

<sup>36</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 150-151

წინა აბზაცით მოყვანილი თეორიული მსჯელობა ad hoc (არამუდმივმოქმედი/კონკრეტული დავისათვის შექმნილი) არბიტრაჟის შესახებ თეორიულად გამართლებულია, ვიზიარებ ავტორის მოყვანილ მსჯელობას, თუმცა მოდით გავეცნოთ დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას.

სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში<sup>37</sup> განავითარა შემდეგი მსჯელობა „სარჩელის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო, გარდა იმისა, რომ ამოწმებს, "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავით დადგენილი წესების შესაბამისად გააჩნია თუ არა მას საერთაშორისო კომპეტენცია, იმავდროულად უნდა შეამოწმოს, დავა უწყებრივად ექვემდებარება თუ არა საერთო სასამართლოში განხილვას, ან ხომ არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება დავის საარბიტრაჟო გზით განხილვის თაობაზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მიწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად, თუმცა თავისი იურიდიული ბუნებით განსხვავდება ტიპური ხელშეკრულების პირობისაგან. მხარეები ერთობლივად და თანასწორად წყვეტენ არსებულ თუ სამომავლოდ შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის. საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი იყოს იმ არბიტრაჟის იდენტიფიცირება, რომელსაც უნდა მიმართონ მხარეებმა მათ შორის წამოჭრილი დავის შემთხვევაში“.

სხვა საქმეში<sup>38</sup> სასამართლომ შემდეგი მსჯელობა განავითარა „პალატას მიაჩნია, რომ წინამდებარე დავა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. “არბიტრაჟის შესახებ” კანონის მე-8 მუხლის პირველი და

<sup>37</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე # 28/4423-14

<sup>38</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № 28/3117-11

მე-2 პუნქტების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას. პალატა განმარტავს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად, თუმცა თავისი იურიდიული ბუნებით განსხვავდება ტიპური ხელშეკრულების პირობისაგან. მხარეები ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობლივად და თანასწორად წყვეტენ არსებულ თუ სამომავლოდ შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანაბარ საწყისებზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის<sup>39</sup> თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა.

“კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის (რომელიც მოქმედებდა გადაწყვეტილების მიღების მომენტში)<sup>40</sup> პირველი მუხლით, პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. ამჟამად მოქმედი საქართველოს კანონის “არბიტრაჟის შესახებ” 8.1 მუხლის<sup>41</sup> თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება

<sup>39</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი . (1995 წელი). თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

<sup>40</sup> კერძო არბიტრაჟის შესახებ საქალტველოს კანონი. (1997 წელი). თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

<sup>41</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი. (2009 წელი). თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. ამ ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილი ნების გამოხატვას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა, ხოლო თუ განიხილა, არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი“<sup>42</sup>

პირველი სასამართლო გადაწყვეტილება ცალსახად საუბრობს რომ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით უნდა ხდებოდეს არბიტრაჟის იდენტიფიცირება, ხოლო მეორე გადაწყვეტილება იგივეს იმეორებს და დამატებით იყენებს სიტყვას „კონკრეტული არბიტრაჟი“. განსახილველ საქმეებში ვერ ვიტყვი რომ სასამართლომ უსამართლოდ მიიღო გადაწყვეტილება, პირიქით, გადაწყვეტილების სრულად გაცნობის შემდგომ ცალსახად სწორ გადაწყვეტილებამდე მივიდა სასამართლო მაგრამ დაამკვიდრა სახიფათო პრეცედენტი.

სასამართლოს მხრიდან მსგავსა მიდგომამ წლების წინ დაადგინა საარბიტრაჟო სამართალწარმოების არასწორი პრაქტიკა და ფაქტობრივად გამორიცხა ქართულ რეალობაში ე.წ. ad hoc (არამუდმივმოქმედი/კონკრეტული დავისათვის შექმნილი) არბიტრაჟით საქმის გადაწყვეტის შესაძლებლობა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ამჟამად სააპელაციო სასამართლოში ცნობა-აღსრულების საქმეებზე ხუთი შემადგენლობა მუშაობს, ხოლო იმ პერიოდში ორი შემადგენლობა მუშაობდა ამ კატეგორიის საქმეებზე, რაც ცალსახად ნიშნავს სასამართლო კორპუსის მხრიდან საკითხის ამგვარად შეფასებას.

იმ პირობების ჩამონათვალში, რის საფუძველზედაც სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ასევე შესულია (UNCITRAL) სამოდელო კანონის მიერ გათვალისწინებული, მაგრამ საერთაშორისო არბიტრების მიერ „ბუნდოვნად“ განმარტებული საჯარო წესრიგისა და იმპერატიული ნორმების პრინციპები.<sup>43</sup>

ერთ-ერთ საქმეზე<sup>44</sup> სააპელაციო სასამართლომ განმარტა „რაც შეეხება საჯარო წესრიგს, თეორიაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომა, რომ ის არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის გადასინჯვას და ამ თვალსაზრისით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

<sup>42</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № 2ბ/3117-11

<sup>43</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 52

<sup>44</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინება N2ბ/5858-13 ელ.წყარო: <http://titribunal.com/ka-ge>

მართებულობის შეფასებას სასამართლოს მხრიდან, მოცემული საკითხისადმი ამ პოზიციის შეუსაბამო მიდგომა, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ზემოაღნიშნული კანონის მიზანთან, ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჯარო წესრიგზე მითითებით არ შეიძლება გადაისინჯოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახული სახელშეკრულებო დებულებების განმარტება, მტკიცებულებათა შეფასება სამართლებრივი ურთიერთობების კვალიფიკაცია, რადგან საჯარო წესრიგი მოიცავს არა ნებისმიერი სახის დარღვევას, არამედ სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულვებელყოფას; ე.ი. სხვაგვარად რომ ითქვას, იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით იქნას გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ ღირებულებებთან; წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯაროწესრიგი გადაიქცევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აპელაციის მექანიზმად. ასეთი მიდგომა კი წინააღმდეგობაშია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან — უზრუნველყოფილი იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობა“.

საჯარო წესრიგთან მიმართებით არსებობს საერთაშორისო სამართლის ასოციაციის IIA-ს რეკომენდაციები<sup>45</sup> (1(დ) დებულების თანახმად) იგი განმარტავს, რომ საერთაშორისო საჯარო წესრიგი მოიცავს:

(i) მართლმსაჯულებასა და მორალს მიკუთვნებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთაც სახელმწიფო იცავს მაშინაც კი, როდესაც ისინი პირდაპირ შემხებლობაში არ არიან ამ სახელმწიფოსთან ;

(ii) ნორმებს, რომლებიც ემსახურება სახელმწიფოს პირველად პოლიტიკურ, სოციალურ ან ეკონომიკურ ინტერესებს, მოხსენიებულს როგორც „ lois de police “ ან „საჯარო წესრიგის ნორმები“; და

(iii) სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

საჯარო წესრიგის სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არასათანადო განმარტება წლებია პრობლემებს ქმნის საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში, საჯარო წესრიგის დარღვევასთან გვექნებოდა საქმე როდესაც - მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა შესაგებელი; მხარეს არ ეცნობა სხდომის ჩატარების დრო და ადგილი; კრედიტორს პირდაპირ საკუთრებაში გადაეცა

---

<sup>45</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისათვის გვ.148

გირავნობის ან იპოთეკის საგანი; საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიცავს სამოტივაციო ნაწილს; მხარეთა შორის მორიგების ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება გადაწყვეტილებით დამტკიცებული ტექსტისაგან; საარბიტრაჟო განხილვის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხვა მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილებას კი სულ სხვა მოსამართლე; საქმეში არ არის სხდომის ოქმი,<sup>46</sup> როდესაც მხარე შეგნებულად უთითებს მოწინააღმდეგის რეგისტრაციის მისამართს, მაშინ როდესაც იცის ფაქტიბრივი ადგილსამყოფელი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის ზოგად პრინციპებს, ასევე ტიპური კანონმდებლობის უმეტეს იურისდიქციებში, სიყალბე ან კორუფცია, როგორც საჯარო წესრიგთან დაკავშირებული დარღვევა, ჩაითვლება სათანადო საფუძვლად გადაწყვეტილების შესაცვლელად.<sup>47</sup>

ერთ-ერთ საქმეში სააპელაციო სასამართლო დამატებით განმარტავს: მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან, რომლის ცნობას და აღსრულებასაც ითხოვს განმცხადებელი, ნათლად არ ირკვევა, თუ საიდან გამომდინარეობს 14661.50 ლარის ოდენობით მოპასუხისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, სააპელაციო სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ გადახედავს აღნიშნულ საკითხს. სასამართლოს მიერ გაგზავნილ იქნამოწინააღმდეგე მხარეებისათვის განცხადების და თანდართული მასალების ასლები დაგანემარტათ, რომ მათ შეეძლოთ წარედგინათ შესაგებელი აღნიშნულ განცხადებასთან დასაარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რითაც მათ არ უსარგებლიათ, რაციმლევა იმ ვარაუდის საფუძველს, რომ მოწინააღმდეგე მხარეების სრულად ეთანხმებიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.<sup>48</sup> აღსანიშნავია რომ ამ გადაწყვეტილებით წაგებულ მხარეს ჯამში სულ 22 816 ლარი დაეკირა და აი აქ საპელაციო სასამართლოს არ მოუშველიებია საჯარო წესრიგის ჩვეული განმარტება და ჩემი შეფასებით საკმაოდ ტენდენციურად რატომღაც არ შეამცირა პურგასამტეხლოს ოდენობა, მაშინ როდესაც სხვა საქმეზე<sup>49</sup> იგი წერს „საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველდღიურად სესხის ძირითადი თანხის 0.3%-ით (დღეში 60 აშშ დოლარი) სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული ოდენობით პირგასამტეხლოს ოდენობა მაღალია, რითაც იგი ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილ კანონის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად საჯარო წესრიგს“ აღნიშნულიდან გამომდინარე მან

<sup>46</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 95

<sup>47</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 124

<sup>48</sup> 2013 წლის 28 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №28/4963-12

<sup>49</sup> 2011 წლის 28 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #28/227-11



მოცემული თანხა შეამცირა და ნაცვლად 6000 აშშ დოლარისა მხარეს 1400 აშშ დოლარი დააკისრა. იმავე მსჯელობას ავითარებს სასამართლო მრავალ სხვა საქმეშიც<sup>50</sup>.

სწორი განმარტების იშვიათი მაგალითია გადაწყვეტილება სადაც სასამართლო განმარტავს: „მოცემულ შემთხვევაში მხარეთა სორის დადებულია საბანკო კრედიტის ხელშეკრულება რომლითაც დაგირავებულ იქნა სასაქონლო მარაგები. ამ ხელშეკრულებასი არ არის აღნიშნული რაიმე შეთანხმება იმის შესახებ, რომ მოცემული სასაქონლო მარაგები გადაეცა მოგირავნეს, გარდა ამისა საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება არც ის, რომ აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრში. ამდენად სასამართლო თვლის, რომ მიუხედავად ხელშეკრულების დადებისა მხარეთა შორის გირავნობა იმ სახით,რა სახითაც მას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი, არ წარმოშობილა. აქედან გამომდინარე ამ ნაწილში არბიტრაჟის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, სამოქალაქო კოდექსის იმპერატიულად განსაზღვრულ 255-ე, 257-ე და 258-ე მუხლებს“.<sup>51</sup>

საჯარო წესრიგთან მიმართებით, რომ შევაჯამით საკითხი შემდეგგვარად გამოიყურება, სააპელაციო სასამართლოში ძირითადად მასზე მითითებით ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ფაქტობრივად, თუმცა გვაქვს სწორი განმარტებებიც რაც ერთობლიობაში არაერთგავაროვან პრაქტიკას ქმნის და ხელს უშლის ბაზრის სიმყარეს, მხარეთათვის არ არის განჭვრეტადი სასამართლოს დამოკიდებულება საკითხისადმი.

შემდეგი საკითხი რაც წინარე ნაშრომით მსურდა განმეხილა შეეხება მე-8 მუხლის მე-8 ნაწილის დანაწესს. 2015 წლის 18 მარტს, როგორც ეს ამ ნაშრომის მე-2 თავში „არბიტრაჟის ისტორია“ მოვიხსენიეთ მნიშვნელოვანი საკანონდებლო ცვლილება შევიდა კანონში და მაშინ როდესაც ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ. სწორედ ამ საკანონმდებლო ცვლილების გამოძახილია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც ითქვა შემდეგი „პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ სესხის ხელშეკრულებას. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მსესხებელი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულებას, სრულად შეავსოს და ელექტრონულად დაეთანხმოს განაცხადს, რითაც იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს წინამდებარე ხელშეკრულებას და

<sup>50</sup> 2011 წლის 30 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #28/2220-11

<sup>51</sup> 2010 წლის 28 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #28/2278-10

ეთანხმება მას. ამავე ხელშეკრულების 13.3 პუნქტის მიხედვით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 400120622) (შემდგომში - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი) ან მის სამართალმემკვიდრეს; საქმეს განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარე. მხარეების მიერ არბიტრის აცილების ვადა განისაზღვრება 5 დღით. პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მსესხებლის, ნ ნ. ა ა- .-ს ს მიერ ხელმოწერილი არ არის. პალატა არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მსესხებელი მართლაც გაცნობილია ხსენებულ სესხის ხელშეკრულებას, თუმცა, აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობის ფაქტი. უფრო მეტიც, კიდევ რომ წარმოდგენილი იყოს ასეთი მტკიცებულება, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ნ ნ. ა ა. ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -8 მუხლის შესაბამისად, ვერ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად . ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე“.<sup>52</sup>

შუნაარსობრივად მსგავსი განმარტება გაკეთდა სხვა საქმეზეც <sup>53</sup> „პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მსესხებლის, ნ ნ. კ კ- .-ს ს მიერ ხელმოწერილი არ არის. პალატა არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მსესხებელი მართლაც გაცნობილია ხსენებულ სესხის ხელშეკრულებას, თუმცა, აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არაა მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობის ფაქტი. უფრო მეტიც, კიდევ რომ წარმოდგენილი იყოს ასეთი მტკიცებულება, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ნ ნ. კ კ. ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -8 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად ვერ ჩაითვლება . ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე.“

<sup>52</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საქმე №28 /3594-15, 30 მარტი , 2016 წელი

<sup>53</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საქმე №28/3306-15, 30 მარტი , 2016 წელი

ზემოთმოყვანილი ორი გადაწყვეტილებით შეიძლება ითქვას დასრულდა პერიოდი საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაში როდესაც ელექტრონულად დადებული სასესიო ურთიერთობები არბიტრაჟების მიერ განიხილებოდა, რაც უდაოდ პოზიტიურ მოვლენად მიმაჩნია.

სააპელაციო სასამართლოსთან ურთიერთობის მრავალწლიანი პირადი გამოცდილებით მრავალი პროცედურული და დროში გაწეილი შემთხვევა შევხვედრივარ, ასე მაგალითად ერთ-ერთ საქმეზე<sup>54</sup> სააპელაციო სასამართლომ ცნობა აღსრულებაზე უარი განმცხადა იმ მიზეზით რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სადაც მოპასუხე მხარეზე კონკრეტული თანხის დაკისრების საკითხი იყო გათვალისწინებული ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო ჩარჩენილი არბიტრაჟის მიერ და ეწერა შემდეგი: „მოპასუხე ზ.ნ-ს სოლიდარულად მოსარჩელის სს ჯ.კ-ს მიმართ დაეკისროს x ლარის გადახდა“, იმის გამო რომ მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილში ეწერა სიტყვა „სოლიდარულად“ რაც ცალსახა იყო, რომ წარმოადგენდა ტექნიკური ხასიათის შეცდომას, გახდა მიზეზი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის და ეს ყოველივე სააპელაციო სასამართლომ 2020 წელს გადაწყვიტა საქმეზე რომელიც არბიტრაჟში დასრულებული 2017 წელს იყო და საქმე ცნობა-აღსრულებაზე 2 წელი და 7 თვე იმყოფებოდა.

ზემოხსენებულ საქმის განხილვისას სასამართლომ საქმის წარმოებას უაღრესად დიდი დრო მოანდომა და ეს არ გახლავთ ერთეული შემთხვევა, ჩემს მიერ რამდენიმე მსხვილი ორგანიზაციის სტატისტიკის შესწავლის შემდგომ შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ცნობისა და აღსრულების საქმეთა წარმოებისას თბილისის საქალაქო სასამართლო საშუალო სტატისტიკურად წელიწადსა და 7 თვეს ანდომებს თითოეული საქმის წარმოებას, რაც ნებისმიერი კუთხით საკითხის შეფასების პირობებში ვერ ჩაითვლება გონივრულ ვადად ამ კატეგორიის საქმისწარმოებისას.

ამ ნაწილში გასათვალისწინებელია ის საკითხიც, რომ დაახლოებით 95% შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ერთი და იგივე მხარეები მიმართავენ გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შუამდგომლობით და მათ მიერ წარდგენილ საქმეთა 99% ერთგვაროვანია, როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებების, ასევე საქმისწარმოების თითოეული ეტაპის გათვალისწინებით, ასევე თითქმის ყოველთვის იდენტურია საარბიტრაჟო ინსტიტუტი რომელმაც აწარმოა საქმე და თითოეული მტკიცებულება რომელიც ამ საქმეებს ერთვის სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობისათვის უკვე კარგად ნაცნობიც შესაბამისად, თუმცა თანაშემწეებთან კომუნიკაციისას მხარეები იღებენ სტანდარტულად ერთსა და იმავე პასუხს, რომ მათ ბევრი საქმე აწერიათ.

<sup>54</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე # 28/2566-17

საკმაოდ არასახარბიელო სიტუაციაა ისეთი ელემენტარული პროცედურის განხორციელებისას როგორცაა ცნობა-აღსრულების საქმის წარმოებაში მიღება, გზავნილის გამზადება და დავალება განმცხადებელზე, რომ მან ჩააბაროს გზავნილი მოწინააღმდეგე მხარეს, ამ პროცედურას სასამართლო 3-6 თვემდე პერიოდს ანდომებს საშუალოდ, ეს მაშინ როდესაც ამ დროს სააპელაციო სასამართლო უკვლევს უფლებამოსილი პირის მიერ შემოდის თუ არა საქმე, ერთვის თუ არა ყველა მტკიცებულება, არის ტუ არა წარმოდგენილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი და ამზადებს ტიპურ ერთგვერდიან გზავნილის ფურცელს, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარის სახელის გვარის და მისამართის მეტი, ასევე თარიღიც და საქმის ნომრის მითითების გარდა არაფერია გასაკეთებელი.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>55</sup> წელიწადნახევრიანი ლოდინის შემდგომ სასამართლომ ცნობასა და აღსრულებაზე განმცხადა უარი შემდეგი მიზეზით, ორგანიზაციის მიერ გაცემულ მინდობილობაში არ წერია რომ თქვენ ბრძანდებით მათი თანამშრომელიო და ეს მას მერე რაც სასამართლომ მიიღო საქმე, მოხდა გზავნილის გაგზავნა მხარესთან, ვერჩაბარების შემდგომ დავალება პოლიციაზე ჩაბარების, შემდგომ საჯარო პუბლიკაცია და შეიქმნა ყველა წინაპირობა საქმეზე სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების მიღების.

მქონია შემთხვევა<sup>56</sup> სადაც 2 წლისა და 2 თვის შემდგომ, საქმეზე ყველა პროცესუალური მოქმედების გავლის შემდგომ, ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის მიზეზი გახდა საქმეში არსებული საბუთების ასლების ხარისხის დაწუნება სასამართლოს მხრიდან, რაც უადაოა უნდა გადამოწმებულიყო საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე. აღნიშნული მიზეზით უარი ცნობასა და აღსრულებაზე არ ატარებს ერთეულ ხასიათს და ეს სერიოზული პროცესუალური დარღვევაა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან.

ეროვნული საარბიტრაჟო სამართალწარმოების პროცედურებში აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, კერძოდ კანონის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი.<sup>57</sup> გარდა ხსენებულისა არ არსებობს რაიმე ტიპის საკანონმდებლო დანაწესი რომელიც მხარეს რაიმე სხვა დოკუმენტაციის წარდგენას დაავალდებულებდა, თუმცა სააპელაციო

<sup>55</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე # 28/1126-19

<sup>56</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე # 28/1384-18

<sup>57</sup> საქართველოს პარლამენტი. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, დოკ#1280

სასამართლო ითხოვს წარდგენილ იქნეს გარდა ხსენებული დოკუმენტაციისა საარბიტრაჟო სამართალწარმოების მასალები სრულად, რაც მიმაჩნია რომ წარმოადგენს დარღვევას. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, იმისათვის რომ სასამართლომ შეამოწმოს ჰქონდა თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა და განხორციელდა თუ არა შესაბამისი პროცედურები კანონის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად ხომ არ დაირღვა საჯარო წესრიგი, სასამართლოს ესაჭიროება საქმისწარმოების გარკვეული მასალები, მაგალითად გზავნილის ჩაბარების დასტური, საჯარო პუბლიკაციის მასალები ან პოლიციით ჩაბარების მცდელობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ არა სრულად საქმისწარმოების ყველა დოკუმენტი, არნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს განსხვავებული მიდგომა გააჩნია, რაზეც მე-4 თავში ვისაუბრებთ.

საქმისწარმოების ვადებს მნიშვნელოვანწილად შეამცირებდა მცირედი საკანონმდებლო ცვლილება არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების კომპეტენციას დაექვემდებარებოდა კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გადაწყვეტის საკითხი, რადგან როგორც ამ თავში ზემოთ ვახსენეთ სააპელაციო სასამართლოს 5 შემადგენლობა მუშაობს ამჟამად ცნობა-აღსრულების საქმეთა კატეგორიაზე და მათ სხვა კატეგორიის საქმეებიც ეწერებათ. ყოველდღიურად ათეულობით უზრუნველყოფის განცხადება შედის სასამართლოში და იმის გათვალისწინებით რომ მხარეები პირდაპირ სასამართლოს მიმართავენ, როგორც წესი და არა არბიტრაჟის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებას ითხოვენ, სასამართლოს 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე 1 დღეში უწევს რეაგირება და შესაბამისი განჩინების მომზადება განმცხადებლისათვის, ასეთ მოცემულობაში კი ადამიანური შეცდომის ფაქტორი იზრდება და ბუნებრივია საქმისწარმოების დროის დიდ პერიოდში განხორციელებაც.

პრობლემის მოგვარების გზების ძიებაში მე სპეციალურად არ დავწერე ნაშრომში 21-ე და 22-ე მუხლების ასევე რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისათვის დაქვემდებარება, რადგან ამ შემთხვევაში იარსებებდა ობიექტური არგუმენტი რომ მოსამართლეთა კორპუსი და სასამართლო შემადგენლობები შესაძლოა გადასამზადებელი ყოფილიყო საარბიტრაჟო სამართალწარმოების სპეციფიკის გაცნობის მიზნით, 23-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები და პროცედურები კი კარგად ნაცნობი მოცემულობაა პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის.

ხსენებული საკანონმდებლო ცვლილება მისცემდა მეტ დროს და შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოს, რათა სათანადო ყურადღება დაეთმო საქმეებისათვის, ამ მოცემულობაში კი შემცირდებოდა, როგორც ტექნიკური ხასიათის შეცდომები, ასევე გაიზრდებოდა დასაბუთების

ხარისხი და დამკვიდრდებოდა უფრო მაღალი ხარისხის სამართალწარმოების სტანდარტები ვიდრე გაგვაჩნია ამჟამად, თუმცა არ მაქვს ილუზია რომ ეს საუკეთესო გამოსავალია და არ შეიზღუბა უკეთესის მოფიქრება, ის უბრალოდ ჩემი ხედვაა საკითხის დიდწილად მოსაგვარებლად.

## თავი IV. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თავისებურებანი

### 4.1. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების სამართლებრივი მნიშვნელობა

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცედურაა, რადგან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიების გარეშე, ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა საარბიტრაჟო განხილვა და არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა მის ჩატარებას. აქვე აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგები მხარეებისთვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ დგება.<sup>58</sup>

უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთან მიმართებაშიც ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.<sup>59</sup>

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს თეორია, რომელიც ქართულად შეგვიძლია „გათანაბრების თეორიად“ ვთარგმნოთ. ამის მიხედვით, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას.<sup>60</sup>

მოქმედი კანონის პროგრესულ ნიშან-თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ იგი იდენტურ სამართლებრივ რეჟიმს აწესებს როგორც ქართული ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისთვის,<sup>61</sup> ამრიგად, მასზე ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების წესები, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, რომელთა მიმართ დაწესებულია სპეციალური რეგულაციები. პირველ რიგში, ამგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, რომ ქვეყნის შიგნით გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, უცხოური საარბიტრაჟო

<sup>58</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.1

<sup>59</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 12

<sup>60</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 14

<sup>61</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 43

გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისთვის კომპეტენტურ სასამართლოს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მხარეს მოეთხოვება, სასამართლოს წარუდგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი და არა მისი ასლი, როგორც საქართველოში გამოტანილი გადაწყვეტილების დროს იყო შესაძლებელი. ასევე აუცილებელია, ამ უცხოენოვან გადაწყვეტილებას ერთვოდეს სათანადოთ დამოწმებული თარმგანი.<sup>62</sup>

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ უნივერსალურ დოკუმენტს წარმოადგენს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“.<sup>63</sup> კონვენციის შემქმნელი სახელმწიფოთა მიზანი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმის ეფექტური სამართლებრივი რეგულაციის შემუშავება და ამ გზით კომერციული არბიტრაჟების როლის გაზრდა იყო.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლში მოცემულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, კერძოდ: „ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მას წინამდებარე კონვენციის ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისას, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია – არ შეიძლება დაწესებულ იქნას არსებითად უფრო მეტი დამაბრკოლებელი პირობები, ან უფრო მაღალი ბაჟი, ვიდრე შიდა გადაწყვეტილებების აღსრულებისას.“<sup>64</sup>

სამართლებრივ სისტემათა უმეტესობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ანიჭებს სასამართლო გადაწყვეტილების, კერძოდ, პრეიუდიციის (res judicata), ანალოგიურ ან მსგავს ძალას. როგორც ეს სასამართლოს მიერ გამოცემული დოკუმენტების შემთხვევაშია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო და სავალდებულებელი ძალა ძირითადად შეზღუდულია იმ სახელმწიფოს ტერიტორიით, სადაც არის გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ნიუ-იორკის კონვენცია უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას აღნიშნული ტერიტორიის გარეთ.<sup>65</sup>

<sup>62</sup> ელიზბარაშვილი თ. სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოებაში ქართული კანონმდებლობის თანახმად, 2019 წ. გვ 52

<sup>63</sup> გაერო. (1958 წელი). უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონვენცია . ნიუ-იორკი, ელ.წყარო: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi13.pdf>

<sup>64</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.1-2

<sup>65</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისთვის, კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, თბ. 2013. გვ. 11-12



საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა არის პროცესი, რომლის შედეგადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხდება ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილი. უმეტეს შემთხვევაში, ცნობა ხდება განცალკევებული წარმოების პირობებში. ასე მაგალითად, მხარემ შეიძლება მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა იმ მიზნით, რომ დააყენოს პრეიუდიციული შესაგებელი და ამ გზით თავიდან აიცილოს იმ საკითხის ხელმეორედ განხილვა სასამართლოში, რაც უკვე გადაწყვეტილ იქნა უცხო ქვეყნის არბიტრაჟის მიერ ან მოითხოვოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მინიჭებულ უფლებასთან მიმართებით. ვინაიდან ცნობა უმეტესად გამოიყენება, როგორც თავდაცვის საშუალება, მას ხშირად ფარს ადარებენ.<sup>66</sup>

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, აღსრულება არის ხმალი. საარბიტრაჟო განხილვაში მოგებული მხარეები შეეცდებიან მოიპოვონ ის, რაც არბიტრებმა მათ მიაკუთვნეს. აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების უმეტესობა სრულდება ნებაყოფლობით. თუმცადა, როდესაც წაგებული მხარე უარზეა, მოგებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იძულებითი აღსრულების მოთხოვნით. ნიუ-იორკის კონვენცია აძლევს მხარეებს საშუალებას, რომ მოითხოვონ ამგვარი დახმარება სასამართლოს მხრიდან.<sup>67</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ პროცედურულად აღსრულების პროცესი იგივეა რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის პროცესი, რომელიც ითვლება აღსრულების წინაპირობად. უცხოური სასამართლო აქტის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება არ არის მიზანშეწონილი მისი საფუძვლიანი შესწავლისა და გადამოწმების გარეშე.<sup>68</sup>

---

<sup>66</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისთვის, კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, თბ. 2013. გვ. 12

<sup>67</sup> იქვე გვ. 12

<sup>68</sup> გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც., „ბონა კაუზა“, 2008, გვ.423.

## 4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

განსახილველ ქვეთავში განვიხილავ საქართველოს საკასაციო სასამართლოების მიერ დამკვიდრებულ პრობლემატურ იმ საკითხებს, რომლებიც გვხვდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა აღსრულებისას და რა თავისებურებითაც ხასიათდება აღნიშნული პროცესი. სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების თვალსაზრისით არსებული პრობლემატიკის გაანალიზება და შესაბამისი გადაჭრის გზების შემოთავაზება.

როგორც აღვნიშნეთ, უცხო ქვეყნის არბიტრაჟების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ნაწილში, კომპეტენტურ სასამართლოს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო,<sup>69</sup> თუმცა აღნიშნული მხოლოდ 2009 წლის კანონმა დაადგინა და განსაზღვრა შესაბამისი პროცედურა კანონით, არადა თავად ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას ხელი მოეწერა 1994 წელს რის შემდგომაც საქართველოს ჰქონდა ვალდებულება მისით ეხელმძღვანელა, რაც ფაქტობრივად ვერ ხორციელდებოდა ახალი კანონის მიღებამდე.

1997 წლის კანონი “კერძო არბიტრაჟის შესახებ” მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ, ეროვნული არბიტრაჟის საქმიანობას აწესრიგებდა და არ ითვალისწინებდა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონის პრინციპებსა და წესებს. სწორედ ამიტომ საქართველოში ახალი “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული აქტი არ არსებობდა, რაც ქმნიდა პრობლემებს უცხოეთში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით.<sup>70</sup>

ნიუ-იორკის კონვენციით საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში შემოღებულ იქნა ტერმინი „საჯარო წესრიგი“ რომელთან მიმართებაშიც დეტალურად მე-3 თავში ვისაუბრეთ, აქ კი აღვნიშნავთ რომ თუ გადავხედავთ საერთაშორისო და საქართველოს პრაქტიკას, საჯარო წესრიგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შედავების ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველია. თუმცა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში საჯარო წესრიგი გაცილებით ხშირად ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის

<sup>69</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება.

<sup>70</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.4

საფუძველი; ამასთან, მისი დღევანდელი განმარტება რისკის ქვეშ აყენებს არბიტრაჟის დამოუკიდებლობას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობას.<sup>71</sup>

საჯარო წესრიგის დაცვის მიზნით, ჰქონდა თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა, იყო თუ არა იგი ინფორმირებული სათანადოდ უზენაესი სასამართლო განსხვავებით სააპელაციო სასამართლოსაგან ითხოვს შესაბამისი უცხოეთის არბიტრაჟისაგან ცნობის სახით ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე და ეს მიმაჩნია რომ გახლავთ სამართლებრივად და პროცედურულად სწორი მიდგომა, განსხვავებით მე-3 თავში აღწერილი, სააპელაციო სასამართლოს, მიდგომისაგან აღნიშნულ საკითხთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ცნობასა და აღსრულებაზე გადაყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს, საქმის შინაარსის გათვალისწინებით არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის<sup>72</sup> მიხედვით, ხოლო უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საფუძველად უთითებს საქართველოს კანონს საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის შესახებ. რომელშიც მოცემულია უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულების მომწესრიგებელი ნორმები. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო წლების მანძილზე უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველად უთითებდა “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციას<sup>73</sup> და არ უთითებდა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, ეს მაშინ როდესაც აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს საქართველოსათვის, როგორც ზევით ავღნიშნეთ სწორედ აღნიშნული კონვენციის საფუძველზე და მასში იმპლემენტიორებული დებულებების გათვალისწინებით არის ქართული სასამართლოები ვალდებული მოახდინონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება.<sup>74</sup>

<sup>71</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში; საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ.34.

<sup>72</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

<sup>73</sup> “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” მინსკის კონვენცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, 1993 წლის 22 იანვარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2018 წლის 27 მარტს მიღებულ განჩინებაში<sup>75</sup> საქმის გადასაწყვეტად გამოიყენა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები. საქმეში მხარე მოითხოვდა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება AC #480r/2016 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას. თუმცა მოგვიანებით მხარეებმა უზენაეს სასამართლოს წარუდგინეს მორიგების აქტი, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მხარეებს შორის უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ წარდგენილი მორიგების აქტი ცნო კანონიერად და დააკმაყოფილა, ხოლო წარმოდგენილ შუამდგომლობაზე საქმის წარმოება შეწყვიტა. სწორედ ამიტომ საკასაციო სასამართლომ ამ შემთხვევაში სრულიად გამართლებულად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით, როცა დამტკიცა მორიგების აქტი, თუმცა ნიუ-იორკის კონვენციაზე მითითება, ამ შემთხვევაშიც აუცილებელი იყო რადგან მხარის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ეხებოდა და მოგვიანებით მხარეთა შორის მიღწეული მორიგების აქტი დამტკიცდა, ხოლო მხარის ძირითადი მოთხოვნას რა ბედი ეწია და რის საფუძველზე შეწყდა წარმოება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ნაწილში, სარეზულიცო ნაწილიდან აღარ ირკვევა.<sup>76</sup>

აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება<sup>77</sup>, სადაც მხარის შუამდგომლობით მოთხოვნილი იყო ჩინეთის სავაჭრო არბიტრაჟის 2016 წლის 17 ოქტომბრის #1216 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. აღნიშნული საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ შპს „Cგ“ შუამდგომლობა ჩინეთის სავაჭრო არბიტრაჟის 2016 წლის 17 ოქტომბრის #1216 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ აკმაყოფილებს, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>22</sup> მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, ისე – „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის კონვენციის მე-4, მე-5 მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

<sup>75</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის განჩინება საქმე №ა-5273-შ-140-2017

<sup>76</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.6

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმე №ა-2458-შ-66-2017

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ სრულიად სამართლიანად იხელმძღვანელა, ნიუ-იორკის საერთაშორისო ხელშეკრულებით და შიდასამართლებრივი აქტებით, რადგან ნიუ-იორკის კონვენცია წარმოადგენს რა საერთაშორისო ხელშეკრულებას რომელიც საქართველოს პარლამენტის მხრიდან რატიფიცირების შემდეგ წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო აქტს და მას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია შიდასამართლებრივ აქტებთან მიმართებაში, ანუ ნიუ-იორკის კონვენციით არიან ვალდებული ეროვნული სასამართლოები მოახდინონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ასევე კონვენციით არის დაშვებული ამ პროცესში შიდაკანონმდებლობის გამოყენების აუცილებლობა.<sup>78</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 დეკემბერს 1ა-44-შ-1-2010 მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>79</sup> არ უხელმძღვანელია არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით და მხოლოდ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლებით დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმეში სადაც შუამდგომლობით მოთხოვნილი იყო ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით #A 40-177252/17-120-1527<sup>80</sup> შპს "კ-ტის" საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება, საკასაციო სასამართლომ საქმის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გადაწყვეტის დასასაბუთებლად მიუთითა 1958 წლის ნიუ იორკის კონვენცია და აღნიშნა, რომ „1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის (შემდეგში: კონვენცია) პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, და გამოტანილია ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე

<sup>78</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.7

<sup>79</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 2010 წლის 23 დეკემბერი, საქმე 1ა-44-შ-1-2010

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისი, საქმე №ა-3603-შ-90-2018

იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს ადგილობრივ გადაწყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება. გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა კონვენციის მესამე მუხლზე რომლითაც, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულოს ისინი იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ მოცემულ მუხლებში დადგენილი პირობების გათვალისწინებით.<sup>81</sup> აღნიშნული მსჯელობაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობას საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორედ ეროვნული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით განიხილავს. საბოლოოს საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და შუამდგომლობა, ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის #A 40-177252/17-120-1527 გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილა.<sup>82</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარს №-2443-შ-83-09 მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>83</sup>, სადაც განიხილავდა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე № 129\_/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საქმის გადასაწყვეტად იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის მუხლებით, ასევე მიუთითა “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციაზე და შუამდგომლობა დაკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლო მოგვიანებით 2019 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც ასევე იხილავდა შუამდგომლობას უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ერთმანეთისაგან გამიჯნა “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის

---

<sup>81</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისი, საქმე №ა-3603-შ-90-2018

<sup>82</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.8

<sup>83</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარის საქმე №-2443-შ-83-09

საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის გამოყენების შემთხვევები და აღნიშნა, რომ აღნიშნული კონვენცია, გამოიყენება უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს, ხოლო უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცეში გამოყენებულ უნდა იქნას ნიუ-იორკის კონვენცია, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, სადაც განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის #A 40-177252/17-120-1527<sup>84</sup> გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე 2017 წლის 22 დეკემბრისა და 2018 წლის 11 იანვრის დადგენილებების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საკასაციო სასამართლომ საქმის გარემოებების შეფასებისას იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციით და განმარტა, „რომ მოცემულ შემთხვევაში არ ხელმძღვანელობს გაეროს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციით, რადგან უცხო ქვეყნის სასამართლო რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების შემადგენლობაშია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საარბიტრაჟო ინსტიტუტს“.

ამ შემთხვევაში ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის გამოყენებაზე უარის საფუძველი გახდა ის, რომ ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლო იყო საერთო სასამართლოების შემადგენლობაში და არა დამოუკიდებელი, კერძო ინსტიტუტი. შესაბამისად საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენციის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლებით და დააკმაყოფილა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობა.<sup>85</sup>

---

<sup>84</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის საქმე №ა-3603-შ-90-2018

<sup>85</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.10

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მრავალ წლიანი წევრობის პერიოდში საქართველო იყო „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის წევრი. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება კი სწორედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით არის მიღებული, რომელშიც საქართველო მუდამ პასიურ როლს თამაშობდა. მთელი რიგი პოლიტიკური მიზეზების გამო, საქართველო მუდამ იყო ამ წარმონაქმიდან გამოსვლის უპირველესი კანდიდატი, ქვეყნის ხელისუფლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჯაროდ აცხადებდა, რომ არასერიოზულად ეკიდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას და მასში ჩვენი ქვეყნის წევრობა მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. შესაბამისად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებული მრავალი შეთანხმება მხოლოდ ქაღალდზე უნდა დარჩენილიყო, თუმცა ჩვენს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ განხილული საქმეები მოწმობს, რომ არა თუ უარს ამბობს სასამართლო აღნიშნული ხელშეკრულების გამოყენებაზე, არამედ აზუსტებს მისი გამოყენების ფაგლებს და უპირისპირებს ნიუ-იორკის უნივერსალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას.<sup>86</sup>

მინსკის კონვენცია რამდენადაც არ უნდა მივიჩნიოთ „ყველაზე ნაკლებად გამოსაყენებელ“ საერთაშორისო ხელშეკრულებად, არ ცვლის ფაქტს, რომ ის საერთაშორისო ხელშეკრულებაა და საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“,<sup>87</sup> ასევე ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი-ს მე-5 პუნქტით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის კოლიზიის არსებობისას ცალსახად საერთაშორისო ხელშეკრულებას ანიჭებს უპირატესობას<sup>88</sup>. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვექნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც ყოველნაირად ეწინააღმდეგება ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და სამართლიანობის შესახებ ელემენტარულ წარმოდგენებს, იურიდიულად გამართული სახით მის

<sup>86</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.10

<sup>87</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პალამენტი, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

<sup>88</sup> ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 33, 09/11/2009



აღსრულებაზე უარის თქმა შეუძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, უმჯობესია სასამართლოებმა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში უმთავრესად იხელმძღვანელონ ნიუ-იორკის კონვენციით „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ და მისივე დათქმების გამოყენებით შიდა სამართლებრივი ნორმატიული აქტებით და უარი თქვას უკვე არაერთგზის გაკრიტიკებული და ჩვენი ქვეყნისათვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით უარყოფილი ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაზე, რომელიც მიღებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით, მათ შორის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციაზე.<sup>89</sup>

ორიოდ სიტყვით უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებთან დაკავშირებით, ისინი იდენტურია გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებისა. ამით ფაქტიურად შექმნილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის ერთიანი უნიფიცირებული სისტემა, რომელიც დამოუკიდებელი არ არის იმაზე, სად მოითხოვება აღსრულება.<sup>90</sup> დამატებით განსაზღვრულია მხოლოდ ერთი საფუძველი, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ მხარეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარი უნდა უთხრას თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება. ამრიგად, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას მის გამომტან სახელმწიფოში. თუ იქ მისი ძალადაკარგულად აღიარება მოხდა, ანუ იმ სამართლით, რომელიც ქართული თვალსაზრისით გამოყენებული უნდა იქნას, მაშინ ევროპაში არსებული დოქტრინის თანახმად საქმე გვაქვს სამართლებრივ “ნულთან”, რომლის არც ცნობა და არც აღსრულება არ დაიშვება.<sup>91</sup>

ამ თავში განხილული პრობლემები ნათლად გვაჩვენებს თუ რა გამოწვევების წინაშე დგას საარბიტრაჟო სამართალწარმოება უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში. ჩვენ მიმოვიხილეთ მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებასთან მიმართებით სასამართლოს

<sup>89</sup> ბოჭორიშვილი ნ. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თბილისი. 2021 წ. გვ.11

<sup>90</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ, გვ 624

<sup>91</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 136-137

დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლიდანაც ნათლად გამოიკვეთა ის არასწორი ვექტორები რომელიც შესაცვლელი აქვს სასამართლოს მის მომავალ საქმიანობაში. ძირითადი პრობლემატიკა საკასაციო სასამართლოს საქმიანობაში ცნობა აღსრულების საქმეების მდგომარეობს გამოსაყენებელ სამართალში და მის არაერთგვაროვან პრაქტიკაში ამ თვალსაზრისით. უმჯობესი იქნებოდა საკასაციო სასამართლო, ყველა იმ საქმეზე რომელიც უცხო ქვეყნის არბიტრაჟების მიერ არის ნაწარმოები იყენებდეს ნიუ-იორკის კონვენციას.

## თავი V. კვლევის შედეგები

ნაშრომის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. პირველ თავში განხილულია გამოყენებულ ლიტერატურა. მეორე თავი შეეხება არბიტრაჟის ისტორიას, რომლებიც ეხება არბიტრაჟის განვითარების ისტორიას და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რეალობას მორგებული ფორმალური და პროცესუალური სათანადო კანონმდებლობა, საქართველოს 10 წელზე ნაკლები პერიოდია რაც გააჩნია და როგორც შემდგომ თავებში განხილული პრობლემატიკა გვაჩვენებს ნათლად, ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი საარბიტრაჟო სამართალწარმოებას ცნობა აღსრულების ნაწილში ერთიანი სათანადო პრაქტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით და ერთიანი სამოსამართლეო სტანდარტების დასამკვიდრებლად, თუმცა აღსანიშნავია, რომ თავად ქართულმა კანონმდებლობამ სწრაფი პროგრესი განიცადა ისტორიისათვის მოკლე პერიოდში.

მესამე თავში განხილულია ეროვნულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თავისებურებანი, მოიცავს ორ ქვეთავს: უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების თავისებურება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების თავისებურება, მესამე თავში შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის გზებიც, კერძოდ: საქმისწარმოების ვადებს მნიშვნელოვანწილად შეამცირებდა მცირედი საკანონმდებლო ცვლილება არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების კომპეტენციას დაექვემდებარებოდა კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გადაწყვეტის საკითხი, რადგან როგორც ამ თავში ზემოთ ვახსენეთ სააპელაციო სასამართლოს 5 შემადგენლობა მუშაობს ამჟამად ცნობა-აღსრულების საქმეთა კატეგორიაზე და მათ სხვა კატეგორიის საქმეებიც ეწერებათ. ყოველდღიურად ათეულობით უზრუნველყოფის განცხადება შედის სასამართლოში და იმის გათვალისწინებით რომ მხარეები პირდაპირ სასამართლოს მიმართავენ, როგორც წესი და არა არბიტრაჟის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებას ითხოვენ, სასამართლოს 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე 1 დღეში უწევს რეაგირება და შესაბამისი განჩინების მომზადება განმცხადებლისათვის, ასეთ მოცემულობაში კი ადამიანური შეცდომის ფაქტორი იზრდება და ბუნებრივია საქმისწარმოების დროის დიდ პერიოდში განხორციელებაც.

პრობლემის მოგვარების გზების ძიებაში მე სპეციალურად არ დავწერე ნაშრომში 21-ე და 22-ე მუხლების ასევე რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისათვის დაქვემდებარება, რადგან ამ შემთხვევაში იარსებებდა ობიექტური არგუმენტი რომ მოსამართლეთა კორპუსი და სასამართლო

შემადგენლობები შესაძლოა გადასამზადებელი ყოფილიყო საარბიტრაჟო სამართალწარმოების სპეციფიკის გაცნობის მიზნით, 23-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები და პროცედურები კი კარგად ნაცნობი მოცემულობაა პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის.

ხსენებული საკანონმდებლო ცვლილება მისცემდა მეტ დროს და შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოს, რათა სათანადო ყურადღება დაეთმო საქმეებისათვის, ამ მოცემულობაში კი შემცირდებოდა, როგორც ტექნიკური ხასიათის შეცდომები, ასევე გაიზრდებოდა დასაბუთების ხარისხი და დამკვიდრდებოდა უფრო მაღალი ხარისხის სამართალწარმოების სტანდარტები ვიდრე გაგვაჩნია ამჟამად, თუმცა არ მაქვს ილუზია რომ ეს საუკეთესო გამოსავალია და არ შეიზლება უკეთესის მოფიქრება, ის უბრალოდ ჩემი ხედვაა საკითხის დიდწილად მოსაგვარებლად.

მეოთხე თავში განხილულია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თავისებურებანი, მოიცავს ორ ქვეთავს, პირველში განხილულია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების სამართლებრივი მნიშვნელობა და მეორე ქვეთავში განზოგადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. შესაბამისად მეოთხე თავი შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცედურას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, საჯარო წესრიგის განმარტებას, სასამართლო პრაქტიკასა და სხვა ქვეყნების მაგალითზე ცნობისა და აღსრულების საკითხს.

მეხუთე თავი მოიცავს კვლევის შედეგებს, თემა სრულდება დასკვნით და გამოყენებული ლიტერატურით.

## დასკვნა

საქართველოში არბიტრაჟი ზოგადად მცირე ხანია რაც არსებობს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ფორმით და მითუმეტეს უფრო მცირე დროა რაც იგი სწორი სამართლებრივი რეგულაციების ქვეშ არის მოქცეული. დღევანდელი საარბიტრაჟო სამართალწარმოების კანონმდებლობა საკმაოდ დახვეწილია მცირედი გამონაკლისების დაშვებით.

ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების საქმეებზე უფლებამოსილ ორგანოს საქართველოში წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანალიზით დგინდება, რომ რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას და რიგი პრობლემებია საქმისწარმოების პროცედურებსა და ვადებში, თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით, გამოყენებული ნორმატიული აქტები სწორად არის გამოყენებული. ძირითადი პრობლემებია საჯარო წესრიგის არასწორი განმარტება, ხანგრძლივი საქმისწარმოების ვადები. ამ მიზნით კარგი იქნებოდა მცირედი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება რომლის შესახებაც მე-3 თავში ვისაუბრეთ და რომელიც ჩემი აზრით რიგ პრობლემებს მოაგვარებდა სააპელაციო სასამართლოსათვის, თან ისე რომ არსებითად არ დაიტვირთებოდა რაიონული (საქალაქო) სასამართლოები და არც სისტემური, კვალიფიკაციის არქონის ან რაიმე სხვა პრობლემა შეიქმნებოდა.

უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობაზე და აღსრულებაზე უფლებამოსილ ორგანოს ჩვენ ქვეყანაში წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული განჩინებების ანალიზით ირკვევა, რომ სასამართლო უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არ ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ხელმძღვანელობს ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც დიდი ხანია წარულს უნდა ჩაბარებოდა. საკასაციო სასამართლო რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილების საფუძვლად უთითებდა “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მიწისკის კონვენციას და არ უთითებდა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, ეს მაშინ როდესაც აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს საქართველოსათვის, ასევე, სწორედ აღნიშნული კონვენციის საფუძველზე და მასში იმპლემენტირებული დებულებების

გათვალისწინებით არის ქართული სასამართლოები ვალდებული მოახდინონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება.

აქედან გამომდინარე, უმჯობესია სასამართლოებმა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში უმთავრესად იხელმძღვანელონ ნიუ-იორკის კონვენციით „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ და მისივე დათქმების გამოყენებით შიდა სამართლებრივი ნორმატიული აქტებით და უარი თქვას უკვე არაერთგზის გაკრიტიკებული და ჩვენი ქვეყნისათვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით უარყოფილი ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაზე, რომელიც მიღებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით.

მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს არბიტრაჟის ცნობადობა საზოგადოებაში, ამაღლდეს არბიტრთა კვალიფიკაცია და დაწესდეს გარკვეული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს არბიტრების პროფესიონალიზმის ზრდას და საერთაშორისო ტენდენციების გაცნობას, უნდა აღმოიფხვრას საკანონმდებლო ხარვეზები. ჯერჯერობით არბიტრაჟის ინსტიტუტი არ არის განვითარებული საქართველოში, არ არსებობს არბიტრების თვითრეგულირების მექანიზმი. მნიშვნელოვანია, რომ არ ხდებოდეს პრაქტიკაში ფიზიკური პირების გაუცნობიერებლად ჩართვა საარბიტრაჟო პროცესებში.

სასამართლოს როლი არბიტრაჟის წარმატებით დამკვიდრებასა და განვითარებაში გადაწყვეტია. ეს როლი მოიცავს, ერთი მხრივ, სასამართლოს დახმარებას არბიტრაჟის პროცესში, მეორე მხრივ კი, სასამართლოს მიერ მხოლოდ შეზღუდულ ზედამხედველობას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო უფრო კეთილგანწყობილი გახდეს არბიტრაჟის მიმართ და პატივი სცეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობას. იმ შემთხვევაში, როდესაც უარი იქნება გაცხადებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე, უარის თქმის მიზეზები სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული.

ნაშრომზე მუშაობამ ვნათლად გვაჩვენებს თუ რა გამოწვევების წინაშე დგას საარბიტრაჟო სამართალწარმოება უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში. ჩვენ მიმოვიხილეთ მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებასთან მიმართებით სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლიდანაც ნათლად გამოიკვეთა ის არასწორი ვექტორები რომელიც შესაცვლელი აქვს სასამართლოს მის მომავალ სქმიანობაში. ძირითადი პრობლემატიკა საკასაციო სასამართლოს სქემიანობაში ცნობა აღსრულების საქმეების მდგომარეობს გამოსაყენებელ სამართალში და მის არაერთგვაროვან პრაქტიკაში ამ თვალსაზრისით. უმჯობესი იქნებოდა

საკასაციო სასამართლო, ყველა იმ საქმეზე რომელიც უცხო ქვეყნის არბიტრაჟების მიერ არის  
ნაწარმოები იყენებდეს ნიუ-იორკის კონვენციას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ცერცვაძე, გ. „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი)“ გამომცემლობა "უნივერსიტეტი" 2008 წელი;
2. ცერცვაძე გ., „საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომცემლობა „გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012 წელი;
3. ცერცვაძე, გ. „საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი)“ , გამომცემლობა, „ბონა კაუზა“, 2008 წელი;
4. გოთუა ლ. „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“ გამომცემლობა, „უნივერსიტეტი“ 2010 წელი;
5. გოთუა ლ. „მართლმსაჯულება“ 2007 წელი;
6. ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, 2015 წელი;
7. Gary Born. International commercial arbitration 2020 წელი;
8. ჩომახიძე ნ, „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში“, გამომცემლობა „წელიწდეული“ 2013 წელი;
9. თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები“, გამომცემლობა „ბეჭვდითი სიტყვის კაბინეტი“ 2017 წელი;
10. მაჩაიძე ო., „საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში“, გამომცემლობა „წელიწდეული“ 2016 წელი;
11. „გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის“ 2018 წელი;
12. „ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისათვის“;
13. „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის“ 2017 წელი;
14. „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“;
15. ბოჭორიშვილი ნ. „საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება“, 2021 წელი;
16. ელიზბარაშვილი თ. „სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოებაში ქართული კანონმდებლობის თანახმად“ 2019 წელი.



### სასამართლო პრაქტიკა:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე # 28 ბ/ 5926- - 16. 11 ნოემბერი, 2016 წელი;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე # 28/4423-14; 2014 წლის 24 სექტემბერი;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 28/3117-11; 2012 წლის 21 თებერვალი;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება N28/5858-13; 2015 წლის 23 მარტი;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4/532,533 2014 წლის 8 ოქტომბერი;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №28/4963-12; 2013 წლის 28 თებერვლის
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #28/227-11; 2011 წლის 28 თებერვლის
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #28/2278-10; 2010 წლის 28 ივლისის
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #28/2220-11. 2011 წლის 30 ივნისის
10. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საქმე №28 /3594-15, 30 მარტი , 2016 წელი;
11. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საქმე №28/3306-15, 30 მარტი , 2016 წელი;
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე # 28/2566-17;
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე # 28/1126-19;
14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე # 28/1384-18 ;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 2010 წლის 23 დეკემბერი, საქმე 1ა-44-შ-1-2010 ;

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისი, საქმე №ა-3603-შ-90-2018;
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარის საქმე №ა-2443-შ-83-09 ;

### **ნორმატიული აქტები:**

1. ამიერკავკასიის ცენტრალური საბჭოს (1931 წელი 15 ივნისი). დადგენილება #141 ;
2. სსრკ კონსტიტუცია 1977;
1. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, 2009 წელი;
2. კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, 1997 წელი;
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წელი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1998 წელი;
5. საქართველოს კონსტიტუცია 1995;
6. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წელი;
7. “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” მინსკის კონვენცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, 1993 წლის 22 იანვარი;
8. ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“.

### **ვებ. გვერდები:**

1. <http://dspace.nplg.gov.ge>
2. <http://dspace.nplg.gov.ge>
3. <http://titribunal.com/ka-ge>
4. <https://matsne.gov.ge>
5. <http://www.supremecourt.ge>
6. <https://uncitral.un.org>